# ინვოისების გაგზავნა მყიდველებისთვის



## ზოგადი აღწერა

აღნიშნული დამუშავებით, პროგრამა ბალანსის საშუალებით მყიდველებს თავიანთ მეილზე შეეძლებათ მიიღონ ინვოისები შეძენილ ან/და შეკვეთილ პროდუქციაზე. ეს დამუშავება საშუალებას აძლევს ბალანსის მომხმარებლებს, ერთი კლიკით პაკეტურად გაგზავნონ წინასწარ აწყობილი ინვოისის ფორმები მყიდველებზე, რაც მნიშვნელოვნად ზოგავს დროს და ამარტივებს მუშაობის პროცესს.

გარდა ამისა, გაგზავნილი მეილები კონტროლდება სტატუსის მიხედვით, და მომხმარებელს შეუძლია გაფილტროს მხოლოდ ის შეკვეთები და რეალიზაციები, რომლებზეც ინვოისი არ არის გაგზავნილი, რათა მხოლოდ მათზე გაგზავნოს მეილები.

დამუშავება ჩაშენდება ბაზაში და განთავსდება თქვენთვის სასურველ მოდულში (მაგ. გაყიდვები). შესაძლებელია ასევე განისაზღვროს ის მომხმარებლები, რომლებსაც ექნებათ წვდომა აღნიშნულ დამუშავებაზე.

**დამუშავების აწყობები:**

1. ბაზაში რეალიზაციის და მყიდველის შეკვეთის დოკუმენტებს უნდა დაემატოს რეკვიზიტი **ინვოისების დაგზავნის სტატუსი.**
2. მყიდველის ბარათზე უნდა მიეთითოს მეილები, რომლებზეც გსურთ ინვოისების გაგზავნა.




3. პროგრამაში უნდა დაემატოს და აეწყოს ის ელ. ფოსტა, რომლის გამოყენებითაც განხორციელდება ინვოისების გაგზავნა.

აღნიშნული ინფორმაციის შეყვანის შემდეგ, პროგრამა დააგენერირებს ბაზაში კონკრეტულ პერიოდში გაფორმებულ რეალიზაციებს ან მყიდველის შეკვეთებს და გაგზავნის ღილაკზე დაჭერით მათ შესაბამის მისამართებზე გააგზავნის.

დამუშავებაში შესაძლებელია მიუთითოთ CC და Bcc ადრესატები, გასაგზავნი მეილის ტექსტი და თემა. გაგზავნის გარდა, **„საქაღალდეში შენახვა“** ღილაკზე დაჭერით შესაძლებელია ინვოისის კონკრეტულ მისამართზე შენახვა. საბოლოოდ, **„წერილების გაგზავნა“** ღილაკი გაგზავნის ინვოისებს.

დამუშავებას აქვს შემდეგი სახე:




თუ მყიდველი ითხოვს კონკრეტულ ინვოისს, დამუშავების ფარგლებში, გაგზავნამდე შესაძლებელია კონკრეტული ფორმის ინვოისის მითითება და მისი გაგზავნა მყიდველზე.

ინვოისის აწყობა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით. ნიმუში შეგიძლიათ იხილოთ აქ:



**INVOICE** N 00000000014 24 April 2024

**გამგზავნი**

**სატესტო კოდი1**
ს/ნ: 206322102
მისამართი: თბილისი
ელ. ფოსტა: test@gmail.com
ტელეფონი:

**მიმღები**

**იმ სატესტოკ სატესტოკ**
ს/ნ: 12345678910
მისამართი:
ელ. ფოსტა:
ტელეფონი:

ვალუტა: GEL
კურსი: 1.0000

* ძირითადი ფასის ტიპი

| N | დასახელება | რაოდენობა | | ფასი | თანხა | დღგ | თანხა დღგ-ს ჩათვლით |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საკონსულტაციო მომსახურება | 1.00 | ცალი | 1,500.00 | 1,500.00 | 228.81 | 1,500.00 |
| სულ | | | | | **1,500.00** | **228.81** | **1,500.00** |

**სულ ჯამი:** **1,271.19**
**დღგ-ს თანხა:** **228.81**
**სულ თანხა დღგ-ს ჩათვლით:** **1,500.00**